საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 225/2

2026 წლის 05 ნოემბერი ქ. თბილისი

დრამის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის № 05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში **გამოცხადდეს კონკურსი** შემდეგი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად:

დრამის ფაკულტეტი

თეატრალური ხელოვნების მიმართულება

/სასცენო მეტყველების განხრით/

- პროფესორის - 1 ს. ე.

2. დრამისა ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის არჩევნების გამოცხადების კომისიის პასუხისმგებელ მდივნად დაინიშნოს კადრებისა და კანცელარიის სამსახურის კადრების მიმართულების კოორდინატორი **თამარ ბასიაშვილი**.

3. კონკურსი გამოცხადდეს 2026 წლის 06 ნოემბრიდან.

4. კანდიდატების რეგისტრაცია (საბუთების მიღება) დაიწყოს 2026 წლის 07 დეკემბრიდან და გაგრძელდეს 2026 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით.

5. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს საბუთების მიღების დასრულებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

6. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ უნივერსიტეტის web.გვერდი: http://tafu.edu.ge/.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს კადრების და კანცელარიის სამსახურს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი № 64.

საფუძველი: 05.11.2026 წლის აკადემიური საბჭოს სხდომის

№ 17 დადგენილება

გიორგი შალუტაშვილი
რ ე ქ ტ ო რ ი